

შეთანხმება

დავის არბიტრაჟისთვის გადაცემის

წინამდებარე შეთანხმება დავის არბიტრაჟისთვის გადაცემის (შემდგომში „შეთანხმება“) დაიდო 2020 წლის _____ (რიცხვი და თვე) _____ -სა (შემდგომში „მხარე 1“) და _____ -ს (შემდგომში „მხარე 2“) შორის.

მხარე 1 და მხარე 2 შემდგომში დამოუკიდებლად მოიხსენიება, როგორც "მხარე" და ერთობლივად - როგორც "მხარეები".

მხარეთა შორის დავა წარმოიშვა შემდეგ საკითხზე:

_____ (შემდგომში „დავა“);

და

მხარეები წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით თანხმდებიან შემდეგზე:

- არბიტრაჟი.** მხარეები მათ შორის არსებულ დავას საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით გადასცემენ [საარბიტრაჟო წესები]-ს მიხედვით [ერთი/სამი] არბიტრისგან შემდგარ ტრიბუნალს. საარბიტრაჟო პროცესს ადმინისტრირებას გაუწევს [საარბიტრაჟო დაწესებულება].
- მარეგულირებელი სამართალი.** ტრიბუნალმა დავა უნდა გადაწყვიტოს [კანონმდებლობა/სამართლის ნორმები/სამართლის პრინციპები] შესაბამისად.
- არბიტრაჟის ადგილი.** საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განისაზღვროს [ქალაქი, ქვეყანა].
- განხილვის ენა.** საარბიტრაჟო განხილვა წარმართება [მხარეთა მიერ არჩეული ენა] ენაზე.
- კონფიდენციალურობა.** მხარეები კონფიდენციალურად დაიცავენ საარბიტრაჟო წარმოების პროცესში გამოცემული ნებისმიერი დადგენილებების ან გადაწყვეტილებების არსებობასა და შინაარსს შემდეგი გამონაკლისების გარდა: (i) იმ ფარგლებში, რომელშიც შეიძლება საჭირო გახდეს მხარის მიერ ინფორმაციის გამჟღავნება ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, კანონიერი უფლების დასაცავად ან განსახორციელებლად, ან სასამართლოში ან სხვა საჯარო ორგანოში *bona fide* წესით გადაწყვეტილების აღსრულების ან გაუქმების თუ გასაჩივრებისათვის, (ii) როდესაც ინფორმაციის გამჟღავნებაზე არსებობს ყველა მხარის თანხმობა, (iii) თუ ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია აღნიშნული საარბიტრაჟო საქმის წარმოების ფარგლებში სარჩელის ან შესაგებლის მომზადების ან წარდგენისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენისთვის, (iv) თუ ასეთი ინფორმაცია უკვე საჯაროდ ხელმისაწვდომია მოცემული პუნქტის დარღვევის გარეშე, ან (v) მხარის/მხარეთა განცხადების საფუძველზე არბიტრაჟმა მიიღო დადგენილება გამჟღავნების უფლების მინიჭების შესახებ.
- ეგზემპლარების რაოდენობა.** წინამდებარე შეთანხმება იდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე [რაოდენობა] ეგზემპლარად.
- შეტყობინებები.** ნებისმიერი მხარისათვის გაგზავნილი ყოველი შეტყობინება და კომუნიკაცია უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით და უნდა გადაეცეს მხარეს: (i) პირადად; ან (ii) ელექტრონული ფოსტით, ან (iii) დაზღვეული ფოსტით, ან (iv) კურიერის საშუალებით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე. პირადად, დაზღვეული ფოსტით ან კურიერით შეტყობინების მიწოდების შემთხვევაში შესაბამისი შეტყობინების ციფრული ასლი ასევე უნდა გაეგზავნოს ადრესატ მხარეს ელექტრონულ ფოსტაზე.

ზემოაღნიშნულის დასტურად, წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები, მათი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელს აწერენ ხელშეკრულებას

მხრე 1

ხელმოწერა: _____

სახელი:

მისამართი:

ელ-ფოსტა:

თარიღი:

მხრე 2

ხელმოწერა: _____

სახელი:

მისამართი:

ელ-ფოსტა:

თარიღი: